



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030432854754017

04-372/ო

06 / ივნისი / 2017 წ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების ღონისძიების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებით“ (შემდგომში – დებულება) განსაზღვრული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) საერთო ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც კანონმდებლობის და მისგან გამომდინარე სააგენტოს შიდა რეგულაციების ხშირი ცვლილებების ფონზე, იმავდროულად მოიცავს სააგენტოს სტრუქტურაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის მუდმივ კონტროლსა და შეფასებას, ამავე დებულების მე-4 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე N2/ბ-513-2016) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2017 წლის ივლისის თვეში განხორციელდეს, სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების პროცედურა, გასაუბრების ფორმით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის მიზნებისათვის, დამტკიცდეს სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების წესი (გასაუბრების ფორმით) (დანართი N1).


3. დაევალოს სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 28 მარტის N04-128/ო ბრძანებით შექმნილ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას, უზრუნველყოს გასაუბრების თემატიკის (სამართლებრივი წყაროები)/საკითხების ფორმირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, ამ პროცესში სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით.

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), სააგენტოში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 28 მარტის N04-128/ო ბრძანებით შექმნილ საკონკურსო-საატესტაციო და სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 14 მაისის N04-140/ო ბრძანებით შექმნილ საპრეტენზიო კომისიებისა და სამდივნოს წევრებისათვის, აგრეთვე, სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის და სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსებისათვის.

5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების საჯაროობა, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) გამოქვეყნების გზით.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ხობის რაიონული განყოფილების უფროსის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებულ თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასების წესი (გასაუბრების ფორმით)

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (შემდგომში – სააგენტო) ხობის რაიონული განყოფილების უფროსის (შემდგომში – შეფასებას დაქვემდებარებული პირი) კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებულ თანამდებობის მოთხოვნებთან/შესასრულებელ სამუშაოსთან (შემდგომში – დაკავებულ თანამდებობასთან) შესაბამისობის შეფასების (შემდგომში – შეფასება) პრინციპებს, პროცედურებს, ფორმასა და სხვა პირობებს.

მუხლი 2. შეფასების მიზნები

შეფასების მიზნებია შეფასებას დაქვემდებარებული პირის:

- ა) პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებულ თანამდებობის მოთხოვნებთან;
- ბ) პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა და პროფესიული ზრდის სტიმულირება.

მუხლი 3. შეფასების პრინციპები

შეფასება დაფუძნებულია ისეთ პრინციპებზე, როგორცაა:

- ა) კანონიერება;
- ბ) სამართლიანობა;
- გ) საჯაროობა;
- დ) გამჭვირვალობა;
- ე) არადისკრიმინაციულობა;
- ვ) ობიექტურობა;
- ზ) მიუკერძოებლობა;
- თ) კოლეგიალურობა.

მუხლი 4. შეფასების ფორმა

შეფასება ტარდება გასაუბრების ფორმით.

მუხლი 5. შეფასების ჩატარების პროცედურული საკითხები

1. გასაუბრება ტარდება განსაზღვრული თემატიკის/საკითხების და პირობების მიხედვით.
2. გასაუბრების ეტაპზე, დაკავებულ თანამდებობასთან შეფასებას დაქვემდებარებული პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია ისმენს შეფასებას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ, მისთვის დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით, ამოწმებს მის პროფესიულ დონესა და კვალიფიკაციას, დადგენილ თემატიკასთან/საკითხებთან და სამსახურებრივ მოვალეობებთან მიმართებაში.
3. გასაუბრების პროცესს შეიძლება დაესწროს (მ.შ. დავას შეკითხვა და ა.შ.) სააგენტოს ცენტრალური აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომელთა კომპეტენციამაც შედის გასაუბრების თემატიკიდან გამომდინარე საკითხები.
4. შეფასების პროცესზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან სხვა ფორმით თავისარიდების შემთხვევაში, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, შეფასებას

დაქვემდებარებული პირი იღებს ამ წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეფასებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, „საპატიოდ“ ითვლება კანონმდებლობით აღიარებული და სათანადო დოკუმენტით დადასტურებული შემთხვევა.

6. შეფასების ჩატარების დროს და ადგილს, შეფასებას დაქვემდებარებული პირის პერსონალურ მონაცემებს, გასაუბრების თემატიკას (სამართლებრივი წყაროები), გასაუბრების ეტაპის მინიმალურ გამსვლელ ქულათა რაოდენობას და საჭიროების შემთხვევაში, სხვა პირობებს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წარდგინებით ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი, შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

7. გასაუბრების საკითხებს განსაზღვრავს კომისია.

8. შეფასებას დაქვემდებარებულ პირს, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (გარდა გასაუბრების საკითხებისა) ეცნობება შეფასების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მაინც.

9. კომისიის გადაწყვეტილებით შეფასების პროცესის მიმდინარეობა შეიძლება აისახოს აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერებში.

10. შეფასების პროცესზე, ამ წესით გათვალისწინებული პირების გარდა, სხვა გარეშე პირების დასწრება დაუშვებელია.

11. შეფასების პროცესის ჩატარების სხვა ორგანიზაციულ პირობებს განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

მუხლი 6. საკონკურსო-საატესტაციო კომისია

1. შეფასებას ატარებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში -კომისია), მოხელეთა პროფესიული კავშირების წევრ(ებ)ისა და/ან დამოუკიდებელი სპეციალისტ(ებ)ის (პირ(ებ)ი, რომელიც სამსახურებრივად არ არიან დაკავშირებული სააგენტოსთან) და/ან ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის მონაწილეობით.

2. კომისიის წევრთა შრომა ატარებს უსასყიდლო (არაანაზღაურებად) ხასიათს.

3. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შეფასება.

მუხლი 7. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, შეფასების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს შეფასებას დაქვემდებარებული პირის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. ის, შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას შეფასებას დაქვემდებარებული პირების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება შეფასების მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ შეფასებას დაქვემდებარებული პირის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 8. კომისიის საქმიანობის წესი (შეფასების პროცესი და გადაწყვეტილების მიღება)

1. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს სხდომების მეშვეობით. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

3. კომისია აფასებს პირს, საჭიროების შემთხვევაში, ისმენს მისი ხელმძღვანელის განმარტებებს.

4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები.

5. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

6. შეფასების შედეგების მიხედვით, კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

ა) შეფასებას დაქვემდებარებული პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) შეფასებას დაქვემდებარებული პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება შეიძლება გახდეს შეფასებას დაქვემდებარებული პირის დაწინაურების საფუძველი, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 9. შეფასების შედეგები

1. კომისია ვალდებულია, შეფასებას დაქვემდებარებული პირის შეფასების შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა. დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

2. კომისია, შეფასების საბოლოო შედეგებს წარუდგენს სააგენტოს დირექტორს და შეფასებას დაქვემდებარებულ პირს, შეფასების პროცესის და მასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განხილვების დასრულებიდან ერთ კვირაში.

3. სააგენტოს დირექტორი, კომისიის დასკვნის წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) პირის მიმართ შეფასების შედეგის პირად საქმეში ასახვის, დაწინაურების გარეშე ან დაწინაურების პერსპექტივის შესახებ (ამ წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში);

ბ) პირის მიმართ შეფასების შედეგის პირად საქმეში ასახვის, პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (ამ წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში).

მუხლი 10. საპრეტენზიო კომისია

1. შეფასების პროცესთან დაკავშირებულ პრეტენზიებს განიხილავს საპრეტენზიო კომისია (შემდგომში - საპრეტენზიო კომისია), რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

2. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

3. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საპრეტენზიო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

4. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

6. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობით დასაბუთებული ფორმით, შეფასების შედეგის (მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან - წერილობით გაგზავნის შემთხვევაში და გაგზავნიდან - გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შედგება ოქმი და შეფასების ეტაპის შედეგის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.

8. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 11. კომისიის და საპრეტენზიო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

კომისიის და საპრეტენზიო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახდენს სამდივნო.

მუხლი 12. შეფასების შედეგების გასაჩივრება

შეფასებას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, შეფასების შედეგი გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და შეფასების პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

მუხლი 13. წესში ცვლილებების შეტანა

წესში ცვლილებები შედის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.